მარიამ გველესიანი

ქართული მეფობის კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი „ფარნავაზის ცხოვრების“ მიხედვით

საქართველოს ისტორიის ის ხანა, რომელიც მოიცავს ფარნავაზის მეფობის პერიოდს (IV-III სს), მეტად საინტერესოა როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით, რამდენადაც მის რეალიებში მჟღავნდება ძველაღმოსავლური და ელინისტური კულტურის ელემენტთა ერთგვარი ერთობლიობა. ეს მოვლენა აირეკლა არამარტო მატერიალური კულტურის ძეგლებში, არამედ წერილობით წყაროებშიც. მხედველობაში გვაქვს „ცხოვრება ფარნავაზის“-ად სახელდებული „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული ისტორიული ქრონიკა. ეს ძეგლი, ქართლის პირველი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის წიაღ, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ საქართველოში მეფობის კონცეფციის ძირეულ პრინციპებზე.

საზოგადოდ, მეფობის კონცეფცია, როგორც, ერთი მხრივ, რელიგიური მსოფლაღქმის ხატი და, მეორე მხრივ, მაორგანიზებელი სისტემა ქვეყნის პოლიტიკური ფილოსოფიისა, უძველესი დროიდანვე ჩამოყალიბდა ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებში და მოახდინა ზეგავლენა ჯერ იუდაისტურ, შემდგომ, ბერძნულ და, განსაკუთრებით, ელინისტურ პოლიტიკურ აზროვნებაზე, ხოლო მოგვიანებით — ადრექრისტიანულსა და ბიზანტიურზე. რაც შეეხება ქართული მეფობის კონცეფციას, მასში, ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად დაშრევდა ამ სამყაროთა თეოკრატიული სისტემების კვალი, რისი ფიქრის საფუძველსაც „ფარნავაზის ცხოვრების“ ანალიზი იძლევა.

როგორც მითოლოგიურ-ალეგორიული შრეების მომცველი იგავქმნილი ისტორიული ძეგლი, „ფარნავაზის ცხოვრება“ არაერთხელ ყოფილა მკვლევართა ინტერესის საგანი. მათ მიერ წაკითხვა ტექსტისა მითოსური, ბიბლიური, ფოლკლორული თუ სემანტიკური წიაღსვლების ფონზე მრავალ საინტერესო საკითხს ჰფენს ნათელს.

„ცხოვრების“ სიუჟეტი გადმოგვცემს ფარნავაზის ისტორიას ყრმობიდან მისი მეფობის აღსასრულამდე და აგებულია სიზმრისა და ცხადის ურთიერთმონაცვლე თხრობაზე, სადაც რეალისტურ თუ სიმბოლურ სახე-პერსონაჟთა ქმედებანი მოვლენათა ერთ მთლიან, უწყვეტ ჯაჭვს ქმნის. მივყვეთ ტექსტს: ფარნავაზი, მამით ქართლელი და დედით სპარსი მცხეთელი ჭაბუკი, ძმისშვილია სამარისი, მცხეთის მამასახლისისა. იგი სამი წლისა იყო, როცა მის ქვეყანას უცხო დამპყრობი (ალექსანდრე მაკედონელი) შემოესია. მტერმა მოკლა მისი მამა და ბიძაც. დედამ შვილი სამშობლოდან გახიზნა. გამოხდა ხანი და მრავალი სიკეთით შემკული ჭაბუკი, „კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“ მამულს დაუბრუნდა. ამ დროს მის ქვეყანაში კვლავ შიშიანობაა, რადგან მას დაჰპატრონებია აზონი, ალექსანდრეს თვისტომი და „შეიყუარა“ იგი (ფარნავაზი — მ.გ.) აზონმა მონადირეობისათვის“. დედა მაინც ეკრძალვოდა შვილის სიკეთის წარმოჩენას, შიში ჰქონდა მტრისა და მოუწოდებდა ვაჟს კვლავ განრიდებოდნენ მამულს და წასულიყვნენ ასპანს დედის ძმებთან. უჭირდა ფარნავაზს მამათა სამყოფლოს დატოვება, მაგრამ დიდი შიშის გამო გადაწყვიტა წასვლა:

„მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო სახლსა შინა უკაცურსა, ეგულვებოდა განსვლა და ვერ გავიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელსა მისთა და განიზიდნა და განიყვანა სარკუმელსა მასს. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე მდაბლად, მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვიძნა ფარნავაზ და განუკვირდა და თქუა: სიზმარი იგი ესე არს: მე წავალ ასპანს და მუნ კეთილსა მივეცემი“.

ამ ირეალური, მიღმური ძალით დამუხტულ ეპიზოდს სიზმრისას მოჰყვება ცხადის თხრობა:

„ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა. და დღე იყო მწუხრი, გარდახდა, და დაჯდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე და დილეულმცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ძველად და სიძულითა შეჰქმნოდა დარლუევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი, ხოლო ფარნავაზ აღმოიდო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან და შევიდა ქუაბსა მას. და იხილა მუნ შინა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა მიუწვდომელი.

მაშინ ფარნავაზ განკვირდა და აღივსო სიხარულითა. და მოეგონა სიზმარი იგი, და დაჰკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე“[1].

ფარნავაზში, როგორც სახელმწიფო მოღვაწეში, თავს იჩენს იმ უნარ-თვისებათა ერთობლიობა, რაც აუცილებელია ქვეყნის აღმშენებლობისათვის: იგი გადაწყვეტს განძი მამულის მტრისაგან ხსნას მოახმაროს, რასაც ქუჯისთან ერთად წარმატებით ახერხებს — განდევნის უცხო დამპყრობლებს თავისი მიწა-წყლიდან, ამის შემდგომ ხდება ყოვლისა ქართლისა მეფე-რეფორმატორი, აღაშენებს მტრისაგან დანგრეულს, ქმნის ერთიან სახელმწიფოს, მის საზოგადოებრივ წყობილებას, ქართულ მწიგნობრობას და აფუძნებს რელიგიას („და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა“). ასეთია ქართლის პირველი მეფის ქმედებათა სივრცე, რომელიც ფარნავაზის პირად თვისებებთან ერთად ტექსტში გაცხადებულ სამეფო ატრიბუტიკასაც მოიცავს და მეფე-გმირის ხარიზმაზე მიგვანიშნებს. ეს ხარიზმა, ნიშანი მეფობისა, ფარნავაზს სიზმრად მიეცა, სიზმარი კი ძველ ცივილიზაციებში წინასწარმეტყველების ფარდ მოვლენად გაიაზრებოდა[2], რამდენადაც ღმერთების სურვილის გაცხადება მეფედ განწესებულის შესახებ სწორედ სიზმრისეული ხილვა-ჩვენების გზით ხდებოდა[3]. როგორც ღმერთების რჩეულნი და მათი მიწიერნი თანაარსნი, მეფენი ღმერთებთან კავშირს სიზმრად ახდენდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში, გამოცხადების ტოლფასია.

სოლომონი, იაჰვესგან რჩეული ისრაელის მეფედ, ძილში ნახულობს უფალს და მორიდებით თხოვს მისცეს მას „გული გულისხმისყოფით სმენად და სჯა ერისა სიმართლით, გულისხმისყოფით კეთილისა და ბოროტისა“ (I მეფეთა, 3:9-13). ასეთი თხოვნით ნასიამოვნები უფალი არამარტო ხანგრძლივ მეფობას აძლევს მას, არამედ სიბრძნეს, დიდებასა და სიმდიდრეს — მეფურ ხარიზმას.

სიზმრად ნახულობს ფარნავაზი უფალს — მზეს, ციურ მნათობთა შორის უმთავრეს ღვთაებას, რომელსაც იგი „უკაცური სახლიდან“ გაჰყავს[4]. ფარნავაზი ცვარს მოჰხოცავს მზეს და პირზე იცხებს, რაც მკვლევართა დაკვირვებით, ნიშანია მისი მომავალი მეფობისა, რადგანაც იგი ცხე-

---

[1] ლეონტი მროველი. ცხოვრება ფარნავაზისი. ქართლის ცხოვრება. ტ.I. თბ., 1955. გვ.21-2. (შემდგომ სქოლიოში — ქც. ტ.I.).

[2] ამის ნათელი მაგალითია წინასწარმეტყველ დანიელის მიერ ნაბუქოდონოსორის სიზმრების ახსნა, რასაც ნ. ბერდიაევი ისტორიზმის პირველსაფეხურად კი მიიჩნევს. იხ. Бердяев Н.А. Смысл истории. Берлин. 1923. с.38.

[3] გავიხსენოთ სპარსეთის მეფე კიროსის ბაბუის, ასტიაგეს წინასწარმეტყველური სიზმარი კიროსის გამეფებასთან დაკავშირებით. იხ. Фрай Р.Н. Наследие Ирана. М., 1972 с.116.

[4] ეს აქტი ზ. კიკნაძისა და კ.ზ. გამსახურდიას აზრით, ამსოფლიური „იწროებიდან“ სიფართოვეში განსვლის კოსმოგონიური ქმედებაა, ადამიანის ხსნასთან დაკავშირებული. იხ. ზ. კიკნაძე. ფარნავაზის სიზმარი. „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია. 1984. №1. გვ.116; კ.ზ. გამსახურდია. ადრექრისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა. თბ., 1995. გვ.94.

ბულია, როგორც მეფე[5].

მეფე ღმერთის ხატია დედამიწაზე, ზეციური მეუფის მიწიერი კორელატი, ანუ მიწიერი ღმერთი. მეფობის ეს კონცეფცია, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში იშვა და განევრცო ჯერ ელინისტურ-რომაულ და შემდგომ ბიზანტიურ სამყაროში, სოლარული სიმბოლიზმის ენით გაცხადდა. ბაბილონელთათვისა და ეგვიპტელთათვის მზე სამეფო მნათობი იყო (გავიხსენოთ „ეხნატონის" მზიური სემანტიკა და ამონ-რას კულტი), რომში კი იგი იმპერატორის მესიანიზმის სიმბოლოდ იქცა. აქ მონარქი თაყვანიცემოდა როგორც „ღმერთი და მეუფე დაბადებითგან თვისთ" (Deus et dominis natis). როგორც იმპერატორის

სურ.I. რომაული მონეტა იმპერატორის გამოსახულებით

ოფიციალური ტიტული გვამცნობს, იგი მზესავით მარადიული და უძლეველია (aeternus, invictus). ამიტომაც ასე ხშირია ბერძნულ-რომაული ხელოვნების ძეგლებზე მზის გვირგვინოსან იმპერატორთა გამოსახულება (სურ.I)[6]. ასევე ირანულ ძეგლებზე, კერძოდ, საბეჭდავებზე წარმოდგენილი მეფე და მისი ზეციური პროტოტიპი — აჰურა მაზდა ფრთოსან სოლარულ დისკოში, ღმერთისა და მონარქის პარალელიზმის, მათი თანაარსობის იდეის გამომხატველია (სურ.II)[7]. ელი-

სურ.II. აქემენიდური საბეჭდავი აჰურა მაზდასა და მეფის გამოსახულებით

ნისტური ხანის ქართლში მეფობის სოლარული კონცეფციის არსებობა ფარნავაზის სიზმრისეულ მზესთან წილნაყარობით დასტურდება. ამავე კონცეფციის გვიანდელი ანარეკლი უნდა იყოს „ღვთისა სწორი" თამარ მეფის ეპითეტი „მზე იგი მზეთაი". ზემოთ მოხმობილი მაგალითებით თვალსაჩინოა მზის, როგორც მიწიერი იერარქიის უმაღლეს მეუფეთა ნიშან-სიმბოლოს საყოველთაობა. ამიტომ არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ფარნავაზის სიზმრისეული ინიციაცია მზესთან, როგორც მეფობის მაუწყებელი ხილვა-ჩვენება, მის სახელშიცაა კოდირებული — ამაზე მიგვანიშნებს მისი აღმოსავლური (მიდიური) ძირი „ფარნა", იგივე „ჰვარნა", ძველ სპარსულში — „სამეფო

---

[5] „ცხებული", ძველებრაულად — „მაშიაჰ", ბერძნულად — „მესია" — შემდგომ ბერძნებმა თარგმნეს როგორც „ხრისტოს" იხ. თ. ჩხენკელი. მეფეთა ცხოვრება და თვლის შვიდობითი სისტემა. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება" 1990. №2. გვ.27.

[6] E.H. Kantorowicz. Oriens Augusti-Lever Du Roi-Dumbarton Oaks Papers. №17 1963. p.121.

[7] H. P. L'Orange. Studies on the Iconography of Cosmic Kingship. Oslo. 1953. p.93. fig.b-c.

დიდება", „ბრწყინვალება"[8], „შარავანდი"[9], რასაც ირანელები წარმოისახავდნენ, როგორც მოკაშკაშე, ხილულ ნათელს. ამ ნათლის შემქმნელი და უპირველესი მატარებელია აჰურა მაზდა (შემდგომ მითრა და ვერეთრაგნა), რომლისგანაც ეს დიდება ნაბოძები აქვს ყველა ირანელ მეფესა და გმირს (ზენდ-ავესტა, XIX იაშტი). აჰურა მაზდა ეტიმოლოგიურად უკავშირდება ფარნავაზის თეოფორიულ სახელს — არმაზს („კერპი ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქუა"). შდრ. O(h)rmazd, Hormizd, Ahura Mazda. მაშასადამე, იკვრება წრე ორსავე სახელსა და სიზმარში ჩენილ მზეს შორის, რომელთა სემანტიკური კავშირები ყველა ნიშნით ირანული სამყაროს წიალაა საძიებელი[10]. ამასვე გვიდასტურებს ერთი დოკუმენტი, დღემდე უცნობი ჩვენი მეცნიერებისათვის — ესაა სიზმარი ირანელთა მეფე კიროსის II-სა (ძვ.წ.VI ს), რომელიც ციტირებული აქვს პროფ. ფ. დვორნიკს ვ. არმსტედ ფალკონერის მიერ გამოცემული De divinatione-დან (Loeb, 1938). მასში ციცერონი (ძვ.წ.I ს) აგვიწერს დინონისეულ (ძვ.წ.IV ს-ის II ნახევარი) სპარსულ ანალებს სიზმრებისას: „ერთხელ კიროსს ესიზმრა, მზე მის ფერხთით (შდრ. „ქუემდაბლად" — მ.გ.) იყო. კიროსი სამჯერ ამაოდ ეცადა ხელთ ეპყრო მზე, რამდენჯერაც მიჰყო ხელი, იმდენჯერ განუსხლტა და საბოლოოდ გაუჩინარდა. მოგვებმა, რომლებიც ბრძენ და განსწავლულ კაცებად ითვლებიან სპარსელებში, აუწყეს მას, რომ სამგზის მცდელობა მზის ხელთპყრობისა მოასწავებდა მის ოცდაათწლიან მეფობას"[7].

როგორც ვხედავთ, კიროსის სიზმარი აშკარა შინაარსობრივ მსგავსებას ავლენს ფარნავაზის სიზმართან — ისინი უდავოდ, ერთ სიუჟეტურ ქარგაზეა აგებული (ისევე როგორც „ალბანთა ისტორიაში" დაცული „ბაბიკის ცხოვრება" ავლენს სრულ იდენტურობას „ფარნავაზის ცხოვრებასთან")[12], ან ფარნავაზ-აზონის ურთიერთობანი — პარალელიზმს საულისა და დავითის ურთიერთობასთან[13]. მოგვთა მიერ სიზმრის ახსნა ანუ კიროსის მომავალი მეფობის წინასწარმეტყველება ხდება მზის ხელთპყრობის ნიშნით, რაც ალუზიურად, ფარნავაზის სიზმარშიც ცხადდება. ფ. დვორნიკი, ახდენს რა კიროსის სიზმრის ციტირებას, იქვე დასძენს: „კიროსის ოცდაათწლიანი მეფობა უნდა ნიშნავდეს იმას, რომ იგი იქნებოდა „ჰვარნას" მფლობელი ოცდაათი წლის მანძილზე (რამდენადაც ჰვარნა მეფური ხარიზმაა — მ.გ.). ჰვარნა კი სიზმარში მზის სახით თვალსაჩინოვდება, რაკიღა „სიკაშკაშე",

---

[8] მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან. თბ., 1966. გვ.499.

[9] პროფ. ა. გრაბარი ნიშნს, შარავანდს მაზდეანური სპარსეთიდან წარმოშობილად მიიჩნევს. A. Grabar. Christian Iconography. A Study of its Origins. Washington. 1961. p.116.

ამ სიტყვის საბასეული განმარტება — „სამეფო გვირგვინი, მსგავსი სხივთა" მიგვითითებს, რომ „ჰვარნა" მოიცავს მეფობის იდეას და შეესატყვისება ირანელთა რწმენას, რომლის მიხედვითაც მეფური დიდება, მეფეზე შარავანდის სახით გარშემოვლებული, მეფის ლეგიტიმურობის მაუწყებელია; F. Dvornik. Early Christian and Byzantine Political Philosophy. Washington. 1966. p.255. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველ მეფეებს ხუასროვანთა სპარსი მეფეების პატივი ეპყრათ „შარავანდედობით". იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე. ტფ., 1929. გვ.121.

[10] აღსანიშნავია, რომ „ჰვარნას" (ხუარნა) კვალი ჩვენში გეოგრაფიულმა ტოპონიმიკამაც შემოინახა. ისტორიული კამბეჩოვანის (ქიზიყი) ქალაქების — ხორანთა და ხორნაბუჯის ფუძედ „ხუარან" (მზეთა) მიჩნევის საფუძველზე ი. ლოლაშვილი ვარაუდობს, რომ ამ პუნქტებში მზის ტაძარი — წარმართობის საკულტო ცენტრი უნდა არსებულიყო. იხ. ი. ლოლაშვილი ქართული წარმართული საკულტო ტაძრები კამბეჩოვანში. ჟურნ. „მნათობი". 1977. №9. გვ.152. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქალის სახელი „ხუარამზე".

[11] F. Dvornik. Early... p.87.

[12] ამ ორი ძეგლის სტრუქტურული და ქრონოლოგიური შეჯერების საფუძველზე პროფ. ზ. ალექსიძე ასკვნის, რომ „ფარნავაზის ცხოვრება" დამოუკიდებელი ნაწარმოებია და იგი უნდა შექმნილიყო VI ს. შუახანებზე უფრო ადრე. „მეფეთა ცხოვრებაში" იგი შეტანილია მისი ავტორისა თუ რედაქტორის მიერ გააზრებულად და ემორჩილება თხზულების მთლიან კონცეფციას". იხ. ზ. ალექსიძე. ფარნავაზის ცხოვრება. ჟურნ. „მნათობი". 1984. №12. გვ.157. „მეფეთა ცხოვრების" არქეტიპს ასევე გაცილებით ადრეშექმნილად (VI ს) თვლის კ.ზ. გამსახურდიაც, რომლის აზრით, „XI ს-ში მოღვაწე ეპისკოპოსი ლეონტი მროველი არის არა „ცხოვრების" ავტორი, არამედ მისი რედაქტორ-სისტემატიზატორი". იხ. კ.ზ. გამსახურდია. ქართლის... გვ.81.

[13] ზ. კიკნაძე. ფარნავაზის... გვ.117.

„ბრწყინვალება“ უმჭიდროეს კავშირშია ამ მნათობთან“[14]. მაშასადამე, კიროსის სიზმრის მზე, მეცნიერთა აზრით, იგივე ჰვარნაა. ფარნავაზის ორსავე სახელის სემანტიკაც რომ არა, კიროსის სიზმრის პარალელით, სრულიად ცხადად იკვეთება ფარნავაზის სიზმრის მიმართება ჰვარნასთან ანუ მზის შუქით, მზიური მადლით მასზე გარდამოსულ სამეფო დიდებასთან. აშკარაა ამ სიზმრებში გაცხადებული მეფობის არამარტო წინასწარმეტყველებითი[15], არამედ სახისმეტყველებითი იდენტურობაც. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ „სპარსული ანალები“ და ფარნავაზის ეპოქა ფარდობითად ერთ ქრონოლოგიურ საზღვრებში (IV ს. II ნახევარი) თავსდება. ეს კი ბადებს კითხვას – ხომ არ სარგებლობს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი მეფობის ძველაღმოსავლური (ირანული) სისტემის კონცეპტუალურად გაცნობიერებული მოდელით?

ეს ვარაუდი უნებლიეთ ასოცირდება ეპოქალურად თითქმის ლეონტი მროველის თანამედროვე რუსთაველის სტროფთან:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად
ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ
საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ
საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და
ლამაზმან ნები.“

სადაც „ესე ამბავი სპარსული“ უნდა მიუთითებდეს არამხოლოდ პოემის ფაბულის წარმოშობაზე, არამედ მის ლიტერატურულ ბუნებაზე, იმაზე, რომ იგი თავისი ხასიათითაა „სპარსული“, „უცხო“, ხოლო რამდენადაც „თარგმანება“ ძველად ნიშნავდა „გაგებას, გააზრებას, განმარტებას“, რუსთაველის ეს სტროფი უნდა განიმარტოს როგორც ხასიათით სპარსული ფაბულის ქართული კუთხით გააზრება[16]. ფარნავაზის სიზმარიც თავისი ხასიათითაც და წარმოშობითაც ირანული სამყაროდან მოდის (როგორც ჩანს, მისი არქეტიპია კიროსის სიზმარი) და იგი ქართულ ნიადაგზეა გარდაქმნილი, იმდროინდელი ქართლის ისტორიულ და კულტურულ მოვლენათა სივრცეშია წარმოჩენილი.

საცნაურია, რომ „ცხოვრების“ ზოგიერთი მომენტი აირეკლავს მეფობის დოქტრინის სხვა ზოგად მოტივებს, როგორც აღმოსავლური, იმავდროულად, დასავლური სამყაროდან. მხედველობაში გვაქვს რომაელი ისტორიკოსის ლივიუსის (ძვ.წ.I ს) ჩანაწერი, მიმანიშნებელი ორივე სამყაროს მეფობის კონცეფციათა სინკრეტიზმისა, რამდენადაც „ჰვარნა“ მასში ელინისტურ ნიადაგზე განსახოვნების ნიმუშად წარმოგვიდგება. თუმცა, ჩვენთვის ეს ეპიზოდი საინტერესოა არამარტო ამ კუთხით, არამედ მისი „ცხოვრების“ რეალიებთან მიმართებით:

„სერვიუს ტულიუსი, ვაჟი მოკლული მტრისა, ცხოვრობდა მეფე ტარკვინიუს პრისკუსის სასახლეში. ერთხელ როდესაც ბავშვს ეძინა, მის თავზე მრავალთა თვალწინ ცეცხლის ენები[17] აალდა. ასეთი სასწაულის მხილველ შეშინებულ მსახურთა ყვირილზე ბავშვთან მეფე-დედოფალი მიცვივდა, რომლებმაც ბრძანეს არ ჩაექროთ ცეცხლი მანამდე, სანამ ბიჭი არ გაიღვიძებდა. მალე ბავშვმაც გაიღვიძა და ცეცხლიც ჩაქრა. ამ მოვლენებში მეფე-დედოფალმა დაინახა უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ბედისწერა ობოლ ბავშვს სამეფოდ ამზადებდა“[18].

---

[14] ამ კავშირის საილუსტრაციოდ ფ. დვორნიკს მოჰყავს ერთი ეპიზოდი ქსენოფონტეს პანეგირიკული თხზულებიდან მეფე კიროსზე. აგვიწერს რა კიროსის ომს ასირიელთა წინააღმდეგ, ქსენოფონტე წერს: „როდესაც დაღამდა, ამბობენ, ისეთი ზეციური ნათელი გადმოეფინა კიროსსა და მის მხედრობას, რომ მეფეც და მეომარნიც სასწაულის შიშით და იმავდროულად, მტერთან შეტაკების სიმამაცით აღივსნენ“. ეს ზეციური ნათელი გააზრებულია, როგორც ჰვარნა. იხ. F. Dvornik. Early... p.87.

[15] თუმცა თავად ფარნავაზმა, მოგვთაგან განსხვავებით, სიზმარს სხვა ახსნა მისცა: „სიზმარი იგი ესე არს: მე წავალ ასპანს და მუნ კეთილსა მივეცემი“.

[16] რ. სირაძე. სახისმეტყველება. თბ., 1982. გვ.193.

[17] ირანელთა რწმენით, ჰვარნას – მზის პერსონიფიკაციებია ცეცხლი და ოქრო, მოკაშკაშე ნათლის ნივთიერი გამოხატულება. იხ. F Dvornik. Early...p.255; როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ევსტათის მარტვილობაში“ მოცემულია მაზდეანურ ღვთაებათა დახასიათება, როგორც მზისა და აგრეთვე ცეცხლისა. იხ. კ. კეკელიძე. ეტიუდები. ტ.II. თბ., 1981. გვ.138-9.

[18] F. Dvornik. Early... p.87.

მოკლულის ვაჟია ფარნავაზიც, რომელსაც მეფობა წარმომავლობითაც ეკუთვნის — იგი ჩამომავალია ქართლოსის, მცხეთოსისა და უფლოსის შტოდან და ძმისწულია სამარისი, მცხეთის მამასახლისისა. საცნაურია, რომ მასაც, ტულიუსისა და კიროსის დარად, მეფური დიდება ძილში ეცხადება და, თანაც, ჰვარნას სახით.

ზ. კიკნაძის აზრით, „ფარნავაზის ამბავი ანდრეზული ყაიდისაა, რომელშიც შეიძლება ამოვიკითხოთ ერთი განსაზღვრული ტიპის ზღაპრული თუ ეპიკური სიუჟეტი, რომლის პერსონაჟებია დედა და უმამო შვილი, რომელსაც უზურპატორის მიერ წართმეული აქვს მემკვიდრეობითი უფლებები. დედა თავისი ობოლი შვილით გადაიხვეწება ქვეყნიდან, ჯადოსნური შემწის წყალობით სამართლიანობა აღდგება და ობოლი ჭაბუკი იბრუნებს დაკარგულ უფლებებს“[19]. ვფიქრობთ, ლივიუსის ეპიზოდი ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ გამოდგებოდა. სქემატურობა, მოარულობა „ცხოვრების“ სიუჟეტური ქარგისა და რაიმე ეპიზოდისა იმდენად თვალსაჩინოა, რომ გვაფიქრებინებს — მეფეთა ცხოვრებანი საზოგადოდ არ უნდა მომდინარეობდეს ოდენ ისტორიულ-ემპირიული სიბრტყიდან, არამედ სხვადასხვა ცივილიზაციების, სხვადასხვა ერების მითოსურ, რელიგიურსა და ფოლკლორულ ასპექტებსაც უნდა აირეკლავდეს.

დავუბრუნდეთ ისევ სიზმარს. ფარნავაზის სიზმარს კიროსისეულისაგან განასხვავებს ორი მომენტი: 1)მზის შუქით მისი „უკაცური სახლიდან“ განყვანა და 2)მეფური დიდების მზის ცვარის ცხებით დაგვირგვინება.

თვალი გავადევნოთ ცხების რიტუალის პირველსაწყისებს — იგი სათავეს უძველესი დროიდან იღებს. ბიბლიური იაკობი ბეთელის ქვას (ებრაულად „ღვთის სახლი“) აკურთხებს მასზე ზეთის დასხმით; ამარნას ფირფიტების წარწერებმა შემოგვინახა ცნობა ქანაანელთა მეფის ცხებისა თუთმოს III მიერ (დაახ. 1447 წ. ახ.წ.-მდე). ამ წეს-ჩვეულების საფუძველი არ არის გარკვეული. როგორც ჩანს, იგი შემადგენელი ნაწილია იმ რთული ცერემონიალისა, რომლის დროსაც ხდებოდა პიროვნების ღვთივკურთხეულობის სიმბოლიზება და რაც შემდგომ აღმოსავლეთის მეფეთა ინტრონიზაციის აუცილებელი ატრიბუტი ხდება[20].

ვნახოთ, რა მისიას აკისრებს ცხება, როგორც მეფედ კურთხევის ნიშანი ბიბლიურ მეფეებს:

„მოიღო სამოველ რქა იგი საცხებლისა და დაასხა თავს ზედა (საულს — მ.გ.) და ამბორს უყო მას და რქუა: „გცხო შენ მეფედ უფალმან ერსა მას თვისსა ზედა ისრაელსა და შენ უძღოდი ერსა მას უფლისასა და იხსნნე იგინი ხელთაგან მტერთა მათთასა და ესე სასწაულ იყოს შენდა, რამეთუ გცხო შენ უფალმან შენმან და დაგადგინა შენ სამკვიდრებელსა თვისსა ზედა“ (I მეფეთა, 10:1).

როგორც ვხედავთ, სამუელისაგან საულის მეფედ ცხების აქტი მას უფლის მიერ ისრაელი ერის წინამძღოლისა და ქვეყნის მტრისაგან მხსნელის გზას უმზადებს. პიროვნული თვისებები აქცევენ მეფედ რჩეულთ იაჰვეს სურვილის განმახორციელებელ ინსტრუმენტად. ასეთივე მისია ეკისრებათ ძველი აღთქმის იუდეველთა რჩეულ წინამძღოლებს: გოთონიელს, აიდს, თოლას, სამსონს (მსაჯ. 3:9-11, 15; 8:22; 10:22; 13:5), რომელთა მეშვეობით იაჰვე უცხოთესლთაგან იხსნის ერს. ეგვიპტესა და ბაბილონში მეფენი ხშირად წარმოგვიდგებიან როგორც თავიანთი ხალხის მხსნელნი, რომლებიც იცავენ მათ უბედურებისაგან და უზრუნველყოფენ მატერიალურ კეთილდღეობას. მეფე-მხსნელის, მეფე-სოტერის ეს ძველაღმოსავლური იდეა განსახოვნდა „ცხოვრებაშიც“ ფარნავაზის არცთუ მოკლევადიანი მეფობა („ოცდაშვიდი წლისა მეფე იქნა და სამოეცდახუთ წელ მეფობდა“) აღბეჭდილია სოტეროლოგიური ნიშნით: გმირი მეფე, განდევნის რა დამპყრობლებს თავისი ქვეყნიდან, მოსვენებასა და სიხარულს უმკვიდრებს ერს: „და იტყოდნენ ამას ყოველნი: „ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხო ნათესავთაგან“[21]. საულის

[19] ზ. კიკნაძე ფარნავაზის... გვ.113.

[20] J.G. Frazer. Lectures on the Early History of the Kingship. London-New York. 1905. p.198.

[21] ქც. ტ.I. გვ.26.

პარალელით, ფარნავაზმა ერის მტრისაგან ხსნა აღასრულა ცხებულობის ნიშნით. როგორც ვხედავთ, ეს მომენტი „ცხოვრებას“ ბიბლიურ მოდელთანაც აახლოებს.

მემატიანის თქმით, ფარნავაზმა ყოველი კეთილი საქმე მოიმოქმედა „სიბრძნითა და სიქუელითა, სიმხნითა და სიმდიდრითა“. სიმდიდრე კი, როგორც აღმოსავლეთის მეფეთა უცილო ატრიბუტი, უმეტესწილად ოქრო-ვერცხლშია განივთებული. ფარნავაზს სიზმარში ნანახი მზე ცხადში გარდაექმნა „განძად მიუწვდომელად“ — ოქროდ (ჰვარნას მატერიალურ სუბსტანციად)[22], რაც საულის დარად ცხებული მეფისათვის ქვეყნის მტრისაგან ხსნის საშუალებად იქცა[23].

ს. ავერინცევის განმარტებით, ოქრო უკავშირდება არა უბრალოდ ნათელს, არამედ მზიურ ნათელს[24]. შესაძლოა, გარკვეული აზრით, იგივე მითოლოგემური სემანტიკის შემცველი იყოს მეფეთა მიერ ნაალაფარი სიმდიდრის ხშირად ოქრო-ვერცხლის სახით წარმოჩენა საისტორიო წყაროებში. ქალდეველთა უკანასკნელი მეფის, ნაბონიდის ბაბილონური ქრონიკა მოგვითხრობს, რომ „კიროსმა გაილაშქრა აგამტანუს ქვეყანაზე, დაიპყრო სატახტო ქალაქი და წამოასხა იქედან ოქრო-ვერცხლი და სხვა სიმდიდრე ფასარგადში“[25]. ასევე ჰპოვა ალექსანდრე მაკედონელმა „ოქრო-ვერცხლი აურაცხელი დიდი მეფეთ-მეფის, კიროსის საჭურჭლეში“[26].

როგორც ვხედავთ, „ფარნავაზის ცხოვრების“ ასპექტები მეფობის კონცეფციის თვალსაზრისით პარალელთა ფართო სპექტრს მოიცავს. თუმცა ჩვენ არ გვქონია განაცხადი მათი მთელი სისრულით წარმოჩენისა, მოხმობილი მაგალითები, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ როგორ დაშრევდა და შეწონასწორდა ქართველთა იმჟამინდელი ყოფის რეალიებთან მეფობის როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური კონცეფციის პრინციპები, მათი ერთგვარი სინთეზი ქართულ ნიადაგზე, რამდენადაც ქართლი ბერძნულ-ირანული სამყაროს ზღვარზე მდებარეობდა და, შესაბამისად, აირეკლავდა ორივე ქვეყნის კულტურულ-რელიგიურ მონაპოვარს.

ზემოთ მოყვანილი პარალელებით ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ „ცხოვრების“ მომენტები განეკუთვნება ტიპოლოგიურად მსგავს, ე.წ. „მოარულ“ სიუჟეტთა რიგს (ქრონოლოგიურად XI ს-ზე გაცილებით ადრე შექმნილთ), რომელთა შორის, სხვებთან ერთად, არც ფარნავაზის სიზმრის ეპიზოდი უნდა იყოს გამონაკლისი და, ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება „ცხოვრების“, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოების ადრეული წარმოშობის შესახებ, ჩვენი ფიქრით, მისი პარალელით — კიროსის სიზმრის მაგალითითაც დასტურდება. ნიშანდობლივია, რომ ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ამ უკანასკნელის ტექსტისა (ძვ.წ.IV ს. II ნახევარი. ბერძენი მწერლის, დინონის სპარსული ანალები) ფარნავაზის ეპოქას ეფარდება. როგორც აღვნიშნეთ, მოგვიანებით, ძვ.წ.I ს-ში მის ციტირებას ახდენს ციცერონი თავის ჩანაწერებში. არ

---

[22] ჰეროდოტეს გადმოცემით, სკვითების მეფის — ტარგიტაუსის ვაჟთაგან უმრწემესმა — კოლაქსაისმა შეძლო ხელთ ეპყრო ზეციდან დაშვებული მოციმციმე ოქრო — ჰვარნა, რაც მისი მეფობის მაუწყებელი იყო. იხ. ჰეროდოტე. ისტორია. თბ., 1975. IV, 5-6.

[23] ზ. ალექსიძის დაკვირვებით, განძის პოვნისა და ამ გზით სახელმწიფოს დაუფლების მოტივი, ზღაპრულ, მოარულ სიუჟეტებს განეკუთვნება და მათი მოარულობის მიუხედავად, ერთმანეთთან გენეტურ კავშირშია მხოლოდ ფარნავაზისა და ბაბიკის „ცხოვრებები“. იხ. ზ. ალექსიძე. ცხოვრება... გვ.155.

[24] „თუ გვიანანტიკურ ოკულტისტთა იდუმალთმცოდნეობას ვეზიარებით, ოქროს სუბსტანცია სხვა არაფერია, თუ არ მიწაში გაყინული მზის სხივები. პროკლეს აზრით, ოქრო, ვერცხლი და ყოველი ლითონი მიწაში გარდაიქმნება ასტრალურ ღვთაებათაგან (ოქრო — მზისაგან, ვერცხლი — მთვარისაგან, ტყვია — სატურნისაგან). ოქროსა და მზის სიმბოლიკის საერთო მანიშნებელი ესაა იდეა საკრალური მეფისა, რომელსაც მოაქვს ქვეშევრდომთათვის „მზის სამეფო“, რამდენადაც მზე არის „მეფე ყოველთა ხილულთა“, ატრიბუტი და ემბლემა მეფური ღირსებისა. როგორც ერთი ბიზანტიელი ეგზეგეტი ხსნის ურმა იესოსადმი მოგვთაგან ბოძებულ ძღვენთა აზრს „ოქრო მიუტანეს მას, ვითარცა მეფეს“. იხ. Аверинцев С.С. Золото в системе символов ранневизантийской культуры. ВЮСДРЗЕ. М., 1973. с.46.

[25] Фрай Р.Н. Наследие.... с.114.

[26] Chaster G. Starr. Greeks and Rersians in the fourth cent. p.c. Iranica Antiqua. 1985. vol.XI. Leiden. p.54.

უნდა იყოს გასაკვირი, რომ მეზობელი ირანის (და მთელი აღმოსავლეთის) ლეგენდად ქცეული უძლიერესი მეფის, აქემენიდთა დინასტიის ფუძემდებლის, კიროს II ამბებს ელინისტური ხანის საქართველოშიც შემოეღწიოს, მით უფრო, რომ მისი ცხოვრების მომენტები, საზოგადოდ, ფოლკლორული, ლეგენდურ-მოარული ხასიათისაა[27].

ფარნავაზის შესახებ არსებობს ერთი ლეგენდა: „როდესაც გარდაცვლილ მეფეს მიწას აბარებდნენ, დიდმა მნათობმა სხივი გამოაგზავნა, რომელიც შემოეხვია მეფის სხეულს და ფრთხილად ჩაასვენა რა სამარეში, კვლავ მზეს დაუბრუნდა. ჩვენს ძველ სიმღერებში ფარნავაზს „სხივმოსილად" მოიხსენიებენ – მისი მეფობაც ხომ მზეს ჰგავდა, მის კეთილმყოფელ ძალას"[28].

ეს ამაღელვებელი ლეგენდა საოცარი სიცხადით აირეკლავს რომაელ იმპერატორთათვის ჭეშმარიტებად ქცეულ, აღმოსავლური რელიგიებიდან მომდინარე დოქტრინას: მეფე (იმპერატორი), მზიური მადლით გარდამოვლენილი დედამიწაზე, ამავე მადლით აღევლინება ზეციურ სასუფეველში გარდაცვალების შემდგომ[29]. ამ ესქატოლოგიურ იდეას შემდეგი სიტყვებით გამოხატავს ციცერონი თავის „სციპიონის სიზმარში":

„ყველა ის მეფე, რომელიც გადაარჩენს, იხსნის და აღამაღლებს მამულს თვისას, სამარადჟამო ნეტარებას დაიმკვიდრებს ზეცაში, რადგან იმ ზეცადვე ამაღლდება, რომლიდანაც გარდამოევლინა თავისი ქვეყნისა და სახელმწიფოს მეუფედ"[30].

გადაარჩინა, იხსნა, აღაშენა და განანათლა მამული თვისი პირველმა მეფემ ქართველთა – დიდმა ფარნავაზმა, ქართული სახელმწიფოებრიობის შემქმნელმა.

ალბათ, ამადაც ანათებს „სხივმოსილი" ზეციურ სამეფოს.

---

[27] ამის მაგალითია მომავალი გამეფების შიშით ბაბუისაგან – ასტიაგესაგან უარყოფილი კიროსის ბავშვობის ისტორია. მას ზრდიდა მწყემსი და მისი მეუღლე სპაკო (რაც, ჰეროდოტეს ცნობით, მიდიურად „ძაღლს" ნიშნავდა). ეს ლეგენდა მრავალმხრივ ეხმაურება მითს ამავე მიზეზით ბაბუისაგან მოძულებული რომულისა და რემის შესახებ, რომლებიც, ჰეროდოტესავე ცნობით, მგლისა თუ ძაღლის მიერ აღიზარდნენ. იხ. Дьяконов И.М. История Мидии. М-Л.,1956. с.17, 424. მეცნიერთა დაკვირვებით, ახალი დინასტიის ფუძემდებელ მეფეთა ცხოვრების ციკლს საზოგადოდ აერთიანებს ანდრეზული სიუჟეტური ამბები, რაც ყველაზე მეტად კიროსისა და არდაშირის ცხოვრებათა შედარებისას ცნაურდება. იხ. Фрай Р.Н. Наследие... с.116. ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, არც ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი მეფეა გამონაკლისი.

[28] Гулбат. Сборник Грузинских легенд. М., 1899. с.48-9.

[29] F. Cumont. Astrology and Religion Among the Greeks and Romans. New York, London. 1912. p.178.

[30] იქვე. გვ.180.

Mariam Gvelesiani

SOME ASPECTS OF THE CONCEPTION OF GEORGIAN KINGSHIP IN THE "LIFE OF PARNAVAS"

Due to its geographical position, Georgia was the meeting-point of East and West, that's why there had been reflected Sumer-Babilonian, Persian, Roman-Hellinistic, Jewish and Bysantine ideas and thoughts on the conception of Georgian Kingship, which itself had undergone a long way of evolution, having manifested the unity of different religious and cultual elements and adopted them to Georgian character. The problem should next to be studied in order to assertain whether the Georgian concept of royalty borrowed notions from ancient oriental peoples, to what extent Georgian political ideas were a genuine Georgian products and, finally, how deeply they were influenced by other nations with which Georgia was in contact.

The episode of Georgian Chronicle, named as 'Life of Parnavas',the first Georgian king, reveals many

considerable connections of the conception on Georgian Kingship with the same of ancient civilised countries. In this regard may well be accented the dream of Parnavas,somewhat modified, but amasingly similar to that of Persian King Cyros, both reflecting an ancient Iranian belief of "Hvarena", connected with Sun-God.